შ. პ. ს.

„რეესტრ-გლობალ სერვისი“

---

20 აგვისტო 2017 წელი

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

ქ. თბილისში, შ.პ. ს. „ზეკარი“-ს კუთვნილი ავტო-სარემონტო ფარეხების დაშლა-დემონტაჟზე

შეადგინა: /ზ. ჭავჭანიძე/

თბილისი
2017 წელი

სარჩევი

1. დასაშლელი შენობისა და ტერიტორიის დახასიათება
2. შენობის დაშლა-დემონტაჟის ცალკეული ეტაპები
3. მოთხობნილებები კადრებზე და დროებით შენობა-ნაგებობებზე
4. მოთხობნილებები სამშენებლო ავტოტრანსპორტზე
5. საინჟინრო მომზადება და მათი წარმართვის ცალკეული ეტაპები
6. დაშლის სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები
7. მოსამზადებელი სამუშაოები და დასაშლელ სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია
8. ამწეებისა და მანქანა-მექანიზმების შერჩევა
9. მომუშავე პერსონალის შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა
10. აეროფოტო
11. სიტუაციური გეგმა
12. სადემონტაჟო შენობის გეგმა
13. სადემონტაჟო შენობის ფასადები

1. დასაშლელი შენობისა და ტერიტორიის დახასიათება

1.1. სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები

- ხელშეკრულება პროექტის შედგენაზე
- დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ
- ობიექტის ნატურაში დათვალიერება და საპროექტო ნახაზები
- ფოტო მასალა არსებული მდგომარეობის შესახებ

1.2. სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედის სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად

1.3. შ.პ. ს. ,,ზეკარი“-ს კუთვნილი ავტო-სარემონტო ფარეხი მდებარეობს თბილისში ელიზბარ მინდელის ქუჩა 10-ში. აღნიშნული შენობა-ნაგებობა ერთსართულიანია. მოშენების ფართი შეადგენს 297 მ²-ს.

1.4. დამკვეთის გადაწყვეტილებით საჭიროა მასალების გადარჩევა და დასაწყობება

1.5. დამკვეთთან შეთანხმდა შენობის დაშლა 20 დღის პერიოდში, რაც იგეგმება კიდევაც მშენებლობის განხორციელების შენაკრებ კალენდარულ გეგმით

1.6. ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების საფუძველზე შედგა გრაფიკი დაშლით სამუშაოთა ცალკეული ეტაპების განხორციელებაზე ცხრილი

2. შენობის დაშლა-დემონტაჟის ცალკეული ეტაპები

დარჩენილი სადემონტაჟო სამუშაოების 30 დღე

№	სამუშაოს დასახელება	კალენდარული გრაფიკი დაშლა-დემონტაჟის ცალკეულ ეტაპებზე						
		დღეები						
	დარჩენილი სამუშაოების (მზიდი კედლების) დემონტაჟი			10				
	საძირკვლის სადემონტაჟო სამუშაოები (დაშლა-დანაწევრება)					10		
	სამშენებლო ნაგვის გატანა (ტერიტორიის დასუფთავება)							10
		30 დღე						

მითითებები:

1. სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს შენობების დაშლაზე ტექნიკური და ტექნოლოგიური ნორმების შესაბამისობით, აგრეთვე შრომის, ელექტრო და ხანძარ უსაფრთხოების წესების დაცვით

2. შენობა, საძირკვლების ჩათვლით, უნდა დაიშალოს უსაფრთხოების ზომების მკაცრი დაცვით: აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ტვირთის შესაძლო ჩამოვარდნის, შეხების წერტილებში მზიდ კონსტრუქციებზე შესაძლო მექანიკური ზემოქმედების და სხვა უარყოფითი გამოვლინებების შესახებ. მათი თავიდან აცილების საჭიროებით აუცილებელია მომუშავე პერსონალს ჩაუტარდეს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი, ჟურნალში მათი ხელმოწერების დაფიქსირებით

3. მოთხოვნილებები კადრებზე და დროებით შენობა-ნაგებობებზე

3.1. შენობის დაშლის პერიოდში მომუშავე პერსონალის რაოდენობა იქნება 8 მუშაკი, მათ შორის ერთი ინჟინერი. მათზე ვანგარიშობთ:

3.2. საყოფაცხოვრებო სათავსებს

- გასახდელებს - 8X0,7=5,6 მ²
- საშხაპეს - 1,5 მ²
- ტუალეტი - 1 მ²

`

4. მოთხობნილებები სამშენებლო ავტოტრანსპორტზე

ჩვენს შემთხვევაში საჭიროა:

4.1. თვითმცლელი მანქანები 1 ცალი დღეში

4.2. საავტომობილო ამწე 1 ცალი დღეში

4.3. თანამედროვე პირობებში მანქანების დაქირავება წარმოებს მოთხოვნილების მომენტისათვის, ამიტომ მათი რაოდენობების წინასწარი ყოველდღიური დაგეგმვა აუცილებელი არ არის.

5. საინჟინრო მომზადება და მათი წარმართვის ცალკეული ეტაპები

5.1. ჩვენს მიერ შედგენილი მოპ-ი ითვალისწინებს სნ და წ 3.01-01-85 ,,სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნილებებს შენობა-ნაგებობათა დაშლაზე შრომის, სამუშაოთა ხანძარსაწინააღმდეგო და ელექტრო უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით

5.2. სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყება დაიშვება ქალაქის მერიის სამსახურიდან სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ.

5.3. სადემონტაჟო სამუშაოებთან დაკავშირებით აუცილებელია ტერიტორიის შემოკავება დროებითი ღობით, აგრეთვე საჭირო გახდება დასაშლელი შენობის წინ ავტოჭიშკრის მოწყობა ბეტონის საფარით და მისი აღჭურვა კერხერის ფირმის წყალჭავლური მოწყობილობით

5.4. შენობის დაშლის წინ საქალაქო კომუნიკაციების სამსახურთან შეთანხმებითა და მათი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მოხდეს წყალსადენის, კანალიზაციის, ელექტროკაბელის, გაზსადენისა და სხვათა ჩახსნა საქალაქო ქსელებიდან. საჭიროა სათანადო აქტის გაფორმებაც

5.5. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშწენებლობის წარმართვა ცხრილში ჩამონათვალი მანქანა-მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით

5.6. დაშლით-სადემონტაჟო სამუშაოთა ცალკეულ ეტაპებზე და მათ წარმართვაზე უფრო დეტალურად იხილეთ მომდევნო თავებში

5.7. შენობის დაშლა-დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ

6. დაშლის სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები

6.1. შენობა-ნაგებობის დაშლის სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმადი სამშენებლო ნორმებისა და წესების შასაბამისად. ქვემოთ ჩამოთვლილია ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშენებლო კომპანიამ დაშლითი სამუსაოების წარმოების დროს:

- СНиП III-20-74 "Изоляционные и отделочные покрытия"
- СНиП III-28-75 "САНИТАРНО-ТЕХНИЧЕСКОЕ ОБОРУДОВАНИЕ ЗДАНИЙ И СООРУЖЕНИЙ"
- СНиП III-4-80* "ТЕХНИКА БЕЗОПАСНОСТИ В СТРОИТЕЛЬСТВЕ"
- СНИП 46. "Работы при реконструкции зданий и сооружений"
- ინსტრუქცია ,,სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის შეფასების შესახებ“

6.2. აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:

- გარემოს დაცვის თაობაზე, 1996 წელი
- წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი
- მავნე ქიმიური ელემენტები, მათი კლასიფიკაცია და უსაფრთხოება, 1998 წელი

6.3. გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსაზღვრავს ჰაერისა და წყლის დაბინძურების, წყლის აღებია დაჩაშვების, სამშენებლო ნაგვის უტილიზაციის, ხმაურის დასხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სამუსაოთა შესრულების პროცესში.

6.4. ასევე კანონით წყლის შესახებ განსაზღვრულია ზედაპირული, მიწისქვეშა და სანაპირი წყლების აღებისა და ჩაშვების ლიცენზიებთან დაკავშირებული საკითხები

6.5.კანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლსა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდარტებს და განსაზღვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში

6.6. მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ კანონი მოიცავს მავნე ნივთიერებათა კლასიფიკაციას და მათ უსაფრთხო მოხმარების საკითხებს. მაგალითად, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა აუცილებელია სპეციალური ბუნკერებით, ხოლო სამშენებლო ნაგვისა დამოკიდებულია დაშლითი სამუშაოების მტვერშემცველობაზე. თუ სამშენებლო ნაგავი თვითმცლელ მანქანებზე დაყრის შემდეგ მტვერის გაბნევის საშიშროებას შეიცავს, მას აუცილებელია გადაეფაროს საბურავი ბრეზენტისაგან ან მყარი მასალისაგან

6.7. ქალაქ თბილისის მთავრობის 2006 წლის 16 მაისის № 12. 18. 243 დადგენილებით სამშენებლო ორგანიზაციებს მოეთხოვებათ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისას, სამშენებლო მასალებისა და სამშენებლო ნარჩენების გადაზიდვის დროს, საავტომობილო გზების სავალი ნაწილების დაბინძურების აღსაკვეთი ღონისძიებების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს სამშენებლო მოედნიდა გამოსვლისას მანქანებისა და განსაკუთრებით მისი საბურავების გარეცხვა-გასუფთავებას, რათა არ მოხდეს ქალაქის ქუცების დაბინძურება

7. მოსამზადებელი სამუშაოები და დასაშლელ სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია

7.1. შენობის დაშლა დემონტაჟზე ნებართვა გაიცემა ქალაქ თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურიდან დადგენილი წესით

7.2. ობიექტი საჭიროა აღიჭურვოს დაშლითი სამუშაოების ჩასატარებლად ცხრილოში ჩამოთვლილი სამშენებლო მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით

7.3. შენობა უნდა შეიფუთოს მტვრის დამჭერი ბადით, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა

7.4. სამუშაოების უზრუნველყოფაელ. ენერგიითა და წყლით უნდა მოხდეს საქალაქო ქსლებიდან თელასთან და თბილწყალკანალთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე

7.5. დაშლის პირველ ეტაპზე საჭიროა შენობის შიგთავსის გამონთავისუფლება: კარ-ფანჯრების მოხსნა, ტიხრების დაშლა, იატაკების აყრა, სამშნებლო ნაგვის შეგროვება, მათი თვითმცლელებზე დატვირთვა და გატანა ნაყარში

7.6. მეორე ეტაპია სახურავის ფენილის აყრა, მათი თვითმცლელებზე დატვირთვა და გატანა ნაყარში, სახურავის ღრუტანიანი გადახურვის ფილების მოხსნა და დასაწყობება. ღრუტანიან ფილებს კიდეებიდან ერთ მეტრ მანძილზე უნდა შემოევლოს ტროსები და ჩამოეკიდოს ამწის კაუჭზე, აიწიოს ფილა და დაეშვას მიწის ზედაპირზე. ამ შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს ღრუტანიანი ფილების პირაპირების ჩამონგრევა, რომელიც ამოვსებულია ბეტონის მასით

7.7. აქვე უნდა აღინიშნოს დემონტირებული ღრუტანიანი ფილების მეორადი გამოყენება ახალ მშენებლობაში კანონით იკრძალება და მათ იყენებენ ავტოფარეხების დასახურად ან ჯებირებისა და ღობეების დანიშნულებით. აღნიშნულის გამო დასაშვებია გადახურვის ფილების ადგილზევე ჩამოშლა სანგრევი ჩაქუჩების ან სხვა დარტყმითი ინსტრუმენტების გამოყენებით, ჯართის გამოცალკევება და მისი რეალიზება

7.8. მზიდი კედლებით ნაშენი შენობის დაშლა უნდა მოხდეს ეტაპობრივად: პირველად უნდა დაიშალოს მონოლითური სარტყელი, შემდეგ წვრილი სამშენებლო ბლოკის კედლები

7.9. დაშლილი კონსტრუქციების სამომავლო გამოყენების შესაძლებლობას ან მის გატანას ნაყარში ქყვეტს დამკვეთი

7.10. ბოლო ეტაპია ბეტონითა და რკინაბეტონით ნაგები საძირკვლების დაშლა და ტერიტორიის გამოსუფთავება სამშენებლო ნაგვისაგან, რომელიც უნდა სესრულდეს მიწის მთხრილი მანქანებისა და სხვა მექანიზმების გამოყენებასთან ერთად სანგრევი ჩაქუჩებით, პერფერატორებითა და მექანიზაციის სხვა საშუალებებით

7.11. დაშლით-სადემონტაჟო სამუსაოები აუცილებელია განხორციელდეს მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ელექტრო, ხანძარფეთქებადი და შრომის უსაფრთხოების) შეს ბამისობით ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ

8. ამწეებისა და მანქანა-მექანიზმების შერჩევა

8.1. დასაშლელ სამუშაოთა წარმოების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა სხვა მანქანა-მექანიზმები, დანადგარები და ინსტრუმენტები, რომელთა რეკომენდებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში 1

ცხრილი 1.

	დასახელება	მარკა	რაოდენობა ცალი
1	ლითონის მილოვანი სახარაჩო სექციები 30 მ² ფართობისათვის	კომპლ.	1
2	საავტომობილო ამწე	სხვადასხვა	1
3	"ბოლგარკის" ტიპის, უფრო თანამედროვე კონსტრუქციების საჭრელი მოწყობილობა	კომპლ.	1
4	პნევმატური ინსტრუმენტ-საბურღი	კომპლ.	1
5	თვითმცლელი მანქანები	სხვადასხვა	1
6	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპლ.	2
7	პერფერატორები	ცალი	2
8	ხელით საგორავი ურიკები	ცალი	2

8.2. რეკომენდებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი, დამკვეთთან შეთანხმებით

9. მომუშავე პერსონალის შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა

9.1. შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა შენობის დაშლის ცალკეულ ეტაპებზე აუცილებელია სნ და წ III-4-80* ,,უსაფრთხოების ტექნიკა მსენებლობაზე“ და სხვა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისობით

9.2. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახელმწიფო სტანდარტში 12.1.013-88. ელ. კარად ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ

მდგომარეობაში, ელ. სადენები და ელ. მოწყობილობები იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია

9.3. კონსტრუქციების დაშლა ნდა წარმოებდეს მათზე სამარჯვი კაუჭების წინასწარი ჩაბმით. კონსტრუქციების ჩაჭრისა და მათი ამწის ისარზე შეკიდების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამწის ტვირთამწეობა, რისთვისაც კონსტრუქციების წონა წინასწარ უნდა დაზუსტდეს

9.4. ასვე სამარჯვი კაუჭები ჩასაჭრელ კონსტრუქციებზე ჩაებას სიმეტრიული გათვლით, სამაგრების საიმედოობის შემოწმებით, ტროსები დაიჭიმოს ასევე საიმედოდ, რათა გამოირიცხოს ტვირთის თავისუფალი ვარდნის შესაძლებლობა მცირე სიმაღლეზეც კი

9.5. აუცილებელი პირობაა: კონსტრუქციათა მოხსნის პერიოდში გადახურვის სიბრტყეში 6 მეტრის რადიუსში არ უნდა იმყოფებოდეს ოპერაციაში დაუსაქმებელი პერსონალი

9.6. ამწის მუშაობის პერიოდში დაუშვებელია უცხო პირთა ყოფნა ამწის მოქმედების სახიფათო ზონის ფარგლებში. ტვირთის ჩამოშვება უნდა განხორციელდეს შენობის ვერტიკალის გასწვრივ

9.7. ასევე აუცილებელია დროებით ღობეებზე გაიკრას ამწის მოქმეების სახიფათო ზონების აღმნიშვნელი ფირნიშები, ღობის გარეთა რადიუსების მითითებით. თუ სახიფათო ზონა ვრცელდება დროებითი ღობის გარეთ, აუცილებელია კონკრეტულ შემთხვევებში მესიგნალის გამოყოფა, რომელიც ვალდებულია მოაწესრიგოს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობა-გადაადგილება და მათი უსაფრთხოება

9.8. ღამის პერიოდში სახიფათო ზონის აღმნიშვნელი ფირნიშები აუცილებელია განათდეს

9.9. დაშლის ოპერაციებში დასაქმებლი პერსონალი დაცული უნდა იყვნენ თავის დამცავი ჩაფხუტებით

9.10. დაუშვებელია მანქანების, ამწეების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატოვება ჩარომის უსაფრთხოების წესები, გაიაროს ინსტრუქტაჟი, სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერების დაფიქსირებით


საქართველო
ქ. თბილისის მერია

სსიპ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახური

ქ. თბილისში საბურთალოს რაიონში, ელიზბარ, მინდელის №10 შპს „ზეკარი"-ს სახელზე რეგისტრილებული 01.14.05.006.001 საკადასტრო კოდით 1252კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის

გ ე გ მ ა

ორთო ფოტო



სამსახურის უფროსი

მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადებისა და საინვესტიციო განყოფილება		
განყოფილების უფროსი		
შემსრულებელი		




ქს	საცხ. სახლი		ლამპიონი
ას	არასაცხო. სახლი		მრგვალი ჯა
	სატრანსფორმატ. ჯიხური		ოთხკუთხედი ჯა
	იუტიემ კოორდინატები		მდელო
	ჰორიზონტალები		ბორდიური
	მთავარი ჰორიზონტალები		ხილის ხე
			წიწვოვანი ხე
			ფოთლოვანი ხე
			ხის ღობე
			ცხაურიანი ღობე
			ქვის ღობე
			ბუჩქი
			ნიშნულები
			გაზი
			მაღალი ძაბვის ელექტრო ხაზი
			მდელო
			საყრდენი კედელი

შ.პ.ს. „რეესტრ-გლობალსერვისი"
LTD "REESTR-GLOBALSERVISE"
დავით აღმაშენებლის №95
ტელ: 555 24 40 70
DAVID AGMASHENEBELI AV. 95
tel: 555 24 40 70

მისამართი:			
დირექტორი		ზ. ჭავჭანიძე	ფართობი:1252კვმ
ამზომველი		ზ. მოსეშვილი	მას'შტაბი 1:500
კომპ. შესრ.		ზ. მოსეშვილი	შესრ. თარიღი 23.07.2017 წ.
დამკვეთი		გ. სანაია	

დემონტაჟის ორგანიზების სქემა




დირექტორი:		ზ. ჭავჭანიძე
ა'ზომა:		ზ. მოსეშვილი
დახაზა:		ზ. სოზაშვილი
დამკვეთი:		შპს"ხეკარი"
მაშტაბი: 1:500		13.07.2017წ.

შენიშვნა: 1) ——— რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

2) მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

სიტუაციური გეგმა



საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო


საკადასტრო კოდი: **01.14.05.006.001**

განცხადების ნომერი: **882016534289**

მომზადების თარიღი: **26/08/2016**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**

ფართობი: **1252 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ხაზობრივი ნაგებობა

ტყის ფონდი

05/25 მენობა/ნაგებობა


05/25 მშენებარე ნაგებობა

ვალდებულება

ორთო-ფოტო




ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი



შენობა ნაგებობ 01/1-ის შიდა აზომვითი ნახაზი	საერთო ფართი: 127.95 კვ.მ	დირექტორი		ზ. ჭავჭანიძე	შპს. „რეესტრ-გლობალ სერვისი" LTD "REESTR-GLOBAL SERVISE" ქ. თბილისი, ბ. ცაბაძის I კორპუსი №24 ტელ: 555-24-40-70 Tbilisi, Georgia, Tsabadze st. building 1, flat 24 tel: 555-24-40-70
ქალაქი თბილისი,ელიზბარ მინდელის ქ. №10, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის ტერიტორია	მასშტაბი: 1:200	შემსრულებელი		ზ. სოზაშვილი	
	შესრ. თარიღი: 10.07.2017	კომპ.მომსახურება		ზ. სოზაშვილი	
		დამკვეთი		გ. სანაია	


ბ.ა.

ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი




შენობა ნაგებობა 02/1ის შიდა აზომვითი ნახაზი	საერთო ფართი: 148.22 კვ.მ	დირექტორი		ზ. ჭავჭანიძე	შპს. „რეესტრ-გლობალ სერვისი" LTD "REESTR-GLOBAL SERVISE" ქ. თბილისი, ბ. ცაბაძის I კორპუსი №24 ტელ: 555-24-40-70 Tbilisi, Georgia, Tsabadze st. building 1, flat 24 tel: 555-24-40-70
ქალაქი თბილისი,ელიზბარ მინდელის ქ. №10, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის ტერიტორია	მასშტაბი: 1:200	შემსრულებელი		ზ. სოზაშვილი	
	შესრ. თარიღი: 10.07.2017	კომპ.მომსახურება		ზ. სოზაშვილი	
		დამკვეთი		გ. სანაია	

ბ.ა.



შენობა ნაგებობა 05/1-ის შიდა აზომვითი ნახაზი	საერთო ფართი: 21.16 კვ.მ	დირექტორი		ზ. ჭავჭანიძე	შპს. „რეესტრ-გლობალ სერვისი" LTD "REESTR-GLOBAL SERVISE" ქ. თბილისი, ბ. ცაბაძის I კორპუსი №24 ტელ: 555-24-40-70 Tbilisi, Georgia, Tsabadze st. building 1, flat 24 tel: 555-24-40-70
ქალაქი თბილისი,ელიზბარ მინდელის ქ. №10, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის ტერიტორია	მასშტაბი: 1:200	შემსრულებელი		ზ. სოზაშვილი	
	შესრ. თარიღი: 10.07.2017	კომპ.მომსახურება		ზ. სოზაშვილი	
		დამკვეთი		გ. სანაია	

ბ.ა.





შენობა №02/1

შენობების ფასადები	საერთო ფართი: 21.16 კვ.მ	დირექტორი		ზ. ჭავჭანიძე	შპს. „რეესტრ-გლობალ სერვისი" LTD "REESTR-GLOBAL SERVISE" ქ. თბილისი, ბ. ცაბაძის I კორპუსი №24 ტელ: 555-24-40-70 Tbilisi, Georgia, Tsabadze st. building 1, flat 24 tel: 555-24-40-70
ქალაქი თბილისი,ელიზბარ მინდელის ქ. №10, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის ტერიტორია	მასშტაბი: 1:200	შემსრულებელი		ზ. სოზაშვილი	
	შესრ. თარიღი: 10.07.2017	კომპ.მომსახურება		ზ. სოზაშვილი	
		დამკვეთი		გ. სანაია	

ბ.ა.